



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი –  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
VAKHUSHTI BAGRATIONI INSTITUTE OF GEOGRAPHY

№ 04-03-23/02-1/106

„18“ თებერვალი 2018წ.

### წარდგინება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში გეოგრაფიის სპეციალობით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექცია და სამეცნიერო საბჭო წარადგენს ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს. პროფ. ემილ წერეთელს.

ემილ წერეთელმა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1955 წ.) თავისი პროფესიის ძირითად მიმართულებად აირჩია საინჟინრო გეოდინამიკა, გამოყენებითი გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და მეოთხეული პერიოდის კვლევა. მისი კვლევის სფეროს წარმოადგენდა კავკასია, შუა აზიის რეგიონები და პონტიდები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღინიშნოს ის, რომ მის სახლს უკავშირდება საინჟინრო-გეოდინამიკის მიმართულების სკოლის დაფუძნება საქართველოში.

ემილ წერეთელმა შუა აზიის რეგიონში 5 წლიანი მოღვაწეობისა და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო „საქგეოლოგიაში“ და სათავეში ჩაუდგა გეოლოგიის საქმიანობის სრულიად ახალ მიმართულებას-სტიქიური გეოლოგიური მოვლენების მულტიფაქტორული პირობების დადგენა, მათი დროსა და სივრცეში განვითარების კანონზომიერების შეცნობა და მართვითი ღონისძიებების შემუშავება. ამ პრობლემის სათანადო დონეზე რეალიზაციისათვის პირველყოფლისა საჭირო იყო კვლევის მეთოდების შემუშავება და ამ მიმართულებით დაინტერესებული კადრების მონახვა-შერჩევა. შეიძლება ითქვას, ამ პრობლემას ემილ წერეთელმა შესანიშნავად გაართვა თავი და ფაქტიურად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ამ მიმართულების კვლევების პიონერად. მანვე პირველად გეოლოგიის პრაქტიკის ისტორიაში მეცნიერულად დაამუშავა სასოფლო-სამეურნეო მიწების საშიში გეოლოგიური პროცესებისაგან დაცვისა და სამთომიწათმოქმედების მართვის მსხვილმასშტაბიანი საინჟინრო-გეოლოგიურ-მელიორაციული კვლევისა და შესაბამისი შინაარსის მსხვილმასშტაბიანი (1:10000) რუკების დამუშავების მეთოდიკა და მოახდინა მისი პრაქტიკული რეალიზაცია საქართველოს 24 მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში.

ემილ წერეთლის მიერ საქართველოს მასშტაბით დამუშავებული საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების საინჟინრო-გეოლოგიური რუკა 1:200000 მასშტაბში და სპეციალიზირებული რუკები მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენებით დაზიანებადობის ხარისხისა და აქტიურობის რისკის მიხედვით 1:500000 მასშტაბში დაედო ბაზისურ საფუძვლად საქართველოს „ეროზიის საწინააღმდეგო გენერალური სქემის დამუშავებას“ და გეოლოგიური სტიქიის რეგიონალური ხასიათის გეომონიტორინგული კვლევების წარმოებას.

ემილ წერეთელმა 1995-1999 წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველო-თურქეთის გეოლოგიური სამსახურების ერთობლივ სამეცნიერო კვლევებაში პონტიდებსა და საქართველო-თურქეთის ტრანსსასაზღვრო სივრცეში და დაამუშავა გამოკვლევული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა 1:200000 მასშტაბში.

ემილ წერეთელი 1991-1997 წლებში მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე; 1977-2006 წლებში ამავე ინსტიტუტში ბუნების სტიქიური პროცესების და მდგრადი განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელად წამყვანი სპეციალისტის რანგში; 2006-2017 წლებში-უფროსი მეცნიერის თანამდებობაზე, ხოლო 2018 წლიდან მთავარი მეცნიერის თანამდებობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ატლასი, რომელიც მიმდინარე წელს გამოიცა გერმანიაში, წარდგენილი იქნა 2018 წლის ფრანქფურტის წიგნის ბაზრობაზე და მასში წარმოდგენილი 5 რუკა თავისი განმარტებითი ბარათით დამუშავებულია ემილ წერეთლის მიერ.

ემილ წერეთელი ასევე ეწეოდა (1966-2006 წ.წ.) პედაგოგიურ მოღვაწეობას მოწვეული მასწავლებლის, დოცენტისა და პროფესორის 0,5 განაკვეთზე თბილისის სახ. უნივერსიტეტში და კითხულობდა ლექციების კურსს საინჟინრო-გეოლოგიაში, მეოთხეულის გეოლოგიაში, გეოეკოლოგიაში და ბუნების კატასტროფული მოვლენების საკითხებში.

ემილ წერეთელმა 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდის გეომორფოლოგიური თავისებურება (რაჭის ფარგლებში)“, ხოლო 2003 წელს იმავე უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია თემაზე „Природно – катастрофические явления и проблема устойчивого развития „Грузий“ и приграничных территорий“. მას თავისი მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 400-მდე მეცნიერული ნაშრომი (მათ შორის 20 მონოგრაფიული ნარკვევი) როგორც საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიურ უნივერსიტეტებში და ეროვნული აკადემიის ხაზით, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში და 50 მონოგრაფიული ხასიათის გეოლოგიური ანგარიში. ემილ წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ იქნა შეფასებული, როდესაც 2014 წელს ამერიკის ბიოგრაფიულ გამომცემლობათა საბჭომ „Who is Who“ (ვინ ვინ არის), შეიყვანა 31-ე გამოცემაში და გადმოეცა დამადასტურებელი სერტიფიკატი, ხოლო 2014 და 2017 წლებში კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა ორჯერ (2014 და 2017 წლებში) აღიარა მსოფლიოს 100 საუკეთესო მეცნიერეთა შორის და აღნიშნული დაადასტურა მედლებითა და სერტიფიკატებით.

ემილ წერეთელი მონაწილეობდა მრავალი ეროვნული და საერთაშორისო გრანტების, მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამისა და ადაპტაციის ფონდის ხელშეწყობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID ხაზით და INTAS-ის საერთაშორისო პროექტით, ასევე მონაწილეობდა მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებისა და საექსპერტო საქმიანობისა.

ემილ წერეთელი სხვადასხვა წლებში იყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო-გეოლოგიის პრობლემური საბჭოს მეწყრებისა და ღვარცოფების კომისიების წევრი, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი და სხვა ინსტიტუტების და ორგანიზაციების საკონსულტაციო საბჭოების წევრი. ამჟამად არის საერთაშორისო საინჟინრო-გეოლოგიის ასოციაციის (IAEG) წევრი, მეწყრებისა და

ღვარცოფების საერთაშორისო კონსორციუმის წევრი; გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გეოფიზიკური რისკების და მდგრადი მდგრადი განვითარების კომისიების წევრი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის და პრობლემათა შემსწავლელი და ბუნებრივი კატასტროფების მართვის კომისიების წევრი.

ემილ წერეთლის ხელმძღვანელობით 5 სპეციალისტს მიღებული აქვს აკადემიური დოქტორის ხარისხი, ხოლო ამჟამად ხელმძღვანელობს 4 დოქტორანტს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში გეოგრაფიის სპეციალობით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი იქნას ემილ წერეთლის კანდიდატურა.





**გარემოს ეროვნული სააგენტო**  
**NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY**

დ.აღმაშენებლის გამზ. №150, 0112, თბილისი, საქართველო  
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA  
Web : www.meteo.gov.ge

Tel.:+995 32 243 95 02 Fax: +995 32 243 95 03  
E-mail: info@meteo.gov.ge

N 21/4409  
17/10/2018

4409-21-2-201810171256



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ**  
**გარემოს ეროვნული სააგენტოს წარდგინება**

გარემოს ეროვნულის სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის **ემილ წერეთლის** წარდგინება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსი) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

ემილ წერეთელს 1955 წელს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, გეომორფოლოგიის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თავისი პროფესიის ძირითად მიმართულებად აიჩია საინჟინრო გეოდინამიკის ფართო სპექტრი: საშიში გეოლოგიური პროცესების კვლევა, პროგნოზირება და მართვითი ღონისძიებების შემუშავება; სამოქალაქო, სახაზო, ჰიდროტექნიკური ობიექტებისა და მიწების დაცვის საინჟინრო-გეოლოგიური - მელიორაციული პირობების შეფსება და ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებით გეოლოგიური გარემოს ამტანაანობის პირობების დადგენა და მისი ოპტიმალური მართვა.

ემილ წერეთელმა, თავის პროფესიული ღონის ასამაღლებად და არეალის გასაფართოებლად ახალგაზრდობაშივე აირჩია კავკასიისა და შუა აზიის პამირო-ალაი-ტიანშანის მთიანეთის რეგიონები. მან შუა აზიის მთიანეთში იმოღვაწევა 5 წელი (1955-

1960), სადაც ჩატარებული კვლევების შედეგად პირველად იქნა შედგენილი სპეციალიზირებული საინჟინრო-გეოლოგიური რუკა 1:500 000 მასშტაბში. ამავე პერიოდში მიღებული შედეგებით დამუშავებული აქვს 2 სამეცნიერო სტატია.

ემილ წერეთელი 1961-1963 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია (დოქტორანტი). ამ პერიოდში დაამუშავა საკვალიფიკაციო თემა „ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდის გეომორფოლოგიური თავისებურება (რაჭის ფარგლებში) და მიენიჭა გეოგრაფიული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ეს ის პერიოდია, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც გლობალური ცვლილებების საერთო ფონზე დაიწყო ბუნების სტიქიური პროცესების მასშტაბური გააქტიურება, რომლის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა მთიანი ქვეყნებისთვის და მათ შორის უკიდურესად რთული და საინჟინრო-გეოლოგიური გარემო პირობებიდან გამომდინარე ეპიცენტრში აღმოჩნდა საქართველო და დაიწყო უდიდესი ზიანის მიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროსადმი. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ დაავალა „საქგეოლოგიას“ დაეწყო ქვეყნის ტერიტორიაზე უარყოფითი გეოლოგიური მოვლენების კვლევა და შესაბამისი მართვითი ღონისძიებების შემუშავება. მაგრამ ამ პერიოდში, გეოლოგიური სამსახური არ აღმოჩნდა მზად სტიქიური-გეოლოგიური მოვლენების მართვისათვის, არც ამ მიმართულების პროფესიული კადრებით და არც კვლევის მეთოდოლოგიის უზრუნველყოფით. ემილ წერეთელმა ამ პერიოდში დაიწყო მუშაობა „საქგეოლოგიაში“ და თანდათანობით მოიზიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ის კურსდამთავრებულები, რომელთაც ასწავლიდა სხვადასხვა დროს. მან დაამუშავა შესაბამისი მიმართულების კვლევის მეთოდოლოგია და პირველად დაიწყო ქვეყანაში სხვადასხვა მასშტაბის (1:25 000; 1:50 000) რეგიონული ხასიათის სპეციალიზირებული აგეგმვითი საინჟინრო-გეოდინამიკური კვლევები, ასევე რეჟიმულ-სტაციონალური დაკვირვებები სხვადასხვა ხასიათის გეოლოგიურ მოვლენებზე მათი წარმოქმნა - რეაქტივიზაციის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად. ჩატარებული კვლევების შედეგად, მთელის ქვეყნის მასშტაბით მოხდა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენების ერთიანი კადასტრული აღწერა და იმავე მასშტაბებში დამუშავდა სპეციალიზირებული გეოდინამიკური რუკები. ასევე „საქგეოლოგიის“ პრაქტიკის ისტორიაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით ემილ წერეთლის მიერ პირველად მეცნიერულად დამუშავდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სოფლის მოსახლეობის გეოლოგიური სტიქიური პროცესებისაგან დაცვის ღონისძიებათა რეალიზაციის პროექტის მეთოდოლოგიური საფუძვლები. დამუშავდა სპეციალიზირებული, საინჟინრო-გეოლოგიურ-მელიორაციული შინაარსის რუკები და ტერიტორია დარაიონებული იქნა სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით დაზიანებადობის ხარისხისა და საშიშროების რისკის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში ათვისების თვალსაზრისით და გასატარებელი ღონისძიებების მიხედვით.

ემილ წერეთელმა საქართველოში სხვადასხვა წლებში განხორციელებული კვლევების ბაზაზე გასული საუკუნის 80-იან წლებში მოახდინა არსებული ინფორმაციის შეჯამება, ანალიზი და განზოგადოება და პირველად ქვეყნის მასშტაბით დაამუშავა 1:200000 მასშტაბში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების საინჟინრო - გეოლოგიური

პირობების რუკა და ასევე საქართველოს ტერიტორიის დარაიონების სპეციალური რუკები - მეწყერულ-გრავეიტაციული და ღვარცოფული მოვლენებით დაზიანებადობის ხარისხისა და აქტიურობის რისკის მიხედვით 1:500 000 მასშტაბში. შემდეგში ავტორის მიერ დამუშავებული რუკები ბაზისურ საფუძვლად დაედო საქართველოში საშიში გეოლოგიური მოვლენების მიზანმიმართული რეგიონალური ხასიათის მონიტორინგულ კვლევებს, წარმოებული მის მიერვე დამუშავებული მეთოდოლოგიის ბაზაზე, რომელიც ასევე წარმატებულად მიმდინარეობს დღესაც. გარდა ამისა, ზემოთაღნიშნული კვლევებისა და შედგენილი რუკების ბაზაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით „პოსტსაბჭოთა“ სივრცეში პირველად იქნა დამუშავებული საქართველოს „ეროზიის საწინააღმდეგო გენერალური სქემა“ 1981-2000 წლების პერიოდისათვის.

ბოლო პერიოდში, ემილ წერეთლის აქტიური მონაწილეობით შესრულებულ სამუშაოებს განეკუთვნება: 1. 2014 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადაპტაციის ფონდის ფარგლებში მდ. რიონის აუზის კლიმატისადმი მედეგი პარაქტიკის შემუშავების პროექტით გათვალისწინებული გეოლოგიური ანგარიში, რომელიც წარმოადგენს გეოლოგიური სტიქიით საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად რეგიონს და 2. 2016 წელს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ადაპტაციის გზამკვლევს, რომელიც განხორციელდა აშშ განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროექტი ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე საქართველოს გარემოს კლიმატის ცვლილებებს და სოფლის მეურნეობის საკითხების აქტუალიზაციას. ამ მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალიტეტების მგრძობიარობას ბუნებრივი კატასტროფების მიმართ და მათთან დაკავშირებული სპეციალური რუკების დამუშავებას, რომლებშიდაც ასახულია ამათუ იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმართ გეოლოგიური კატასტროფების საშიშროების რისკი სამ განზომილებაში (დაბალი, საშუალო, მაღალი) და მათი შესაძლო ცვლილებების გრძელვადიანი პროგნოზი. საყურადღებოა, რომ ორივე ამ პუბლიკაციამ მნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა საერთაშორისო დონეზე.

ემილ წერეთლის ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის გვერდით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისი მეცნიერული მოღვაწეობა, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 400-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 25 მონოგრაფიული ხასიათის, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. გარდა ამისა, დამუშავებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 50-მდე მონოგრაფიული ხასიათის გეოლოგიური ანგარიში.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გამოძახილია ამერიკის ბიბლიოგრაფიული გამოცემლობათა საბჭოს „მსოფლიოში ვინ ვინ არის“ (“Who is Who”) საქმიანობის სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, 2014 წელს შეიყვანა 31-ე გამოცემაში და დადასტურებულია სერთიფიკატით, ასევე კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ 2014 და 2017 წლებში აღიარება მსოფლიოს 100 საუკეთესო მეცნიერთა შორის და აღნიშნული დასტურდება მედლებითა და სერთიფიკატებით.

ემილ წერეთელმა თავის მრავალწლიანი საქმიანობა ბუნების კატასტროფული მოვლენების მართვის საკითხებში და ცალკეული მეცნიერული გამოკვლევები შეაჯამა თავის კაპიტალურ ნაშრომში “ბუნებრივ კატასტროფული მოვლენები და მდგრადი

განვითარების პრობლემები საქართველოში და მოსაზღვრე ტერიტორიებზე” და წარადგინა 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოში გეოგრაფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ემილ წერეთელი სხვადასხვა წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის პრობლემური საბჭოს სხვადასხვა მიმართულების კომისიების წევრი; შსს საგანგებო სიტუაციების სააგენტოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი; ასევე საქართველოს სხვადასხვა უწყებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი. ამჟამად არის საერთაშორისო საინჟინრო-გეოლოგიის ასოციაციის (IAEG) წევრი; მეწყერებისა და ღვარცოფების საერთაშორისო კონსორციუმის წევრი (იაპონია); გოდუზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გეოფიზიკური სივრცისა და მდგრადი განვითარების კომისიის წევრი; რეგიონათაშორისი ღვარცოფული მოვლენების შემსწავლელი ასოციაციის საბჭოს წევრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემების შემსწავლელი და ბუნებრივი კატასტროფების მართვის კომისიის წევრი;

ემილ წერეთლის ხელმძღვანელობით 5 სპეციალისტს მიღებული აქვს აკადემიური დოქტორის ხარისხი, ამჟამად ხელმძღვანელობს 4 დოქტორანტს.

ემილ წერეთელს მიღებული აქვს სხვადასხვა სახის ჯილდოები და სიგელები, მათ შორის 1984 წლის XXVII საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის საპატიო დიპლომი და ვერცხლის მედალი; საქართველოს მთავრობის ღირსების ორდენი; თბილისი დიდუბე-ჩულურეთის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება; სსრკ გეოლოგიის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 5 სიგელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ემილ წერეთელს წარდგინებას უკეთებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსი) ვაკანსიის დასაკავებლად და სააგენტო აძლევს შესაბამის რეკომენდაციას.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



## ემილ წერეთელი

### ავტობიოგრაფია

მე, ემილ წერეთელი, მცხოვრები ქ. თბილისში, გ. რობაქიძის გამზირზე, VI კვარტლის, 21-ე კორპუსის, ბინა 74-ში, დავიბადე 1932 წლის 20 იანვარს ქ. ამბროლაურში. 1954 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1960-1963 წლებში ვსწავლობდი თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ასპირანტურაზე, რომელიც წარმატებით დავასრულე 1963 წელს. 1966 წლის 20 ივნისს მომენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაცია, ხოლო 2003 წლის 30 ივნისს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (სადოქტორო თემა: ბუნებრივ კატასტროფული მოვლენები და მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში და მოსაზღვრე ტერიტორიებზე).

1955 წლიდან საქმიანობა დავიწყე გეოლოგიის სამინისტროს მე-4 სამმართველოს მე-7 რაიონის ექსპედიციაში გეოლოგის, ხოლო 1956-1958 წლებში ინჟინერ-გეოლოგის თანამდებობებზე. 1958-1960 წლებში ვიყავი გეოლოგიის სამინისტროს მე-4 სამმართველოს მე-6 რაიონის ექსპედიციის გეოლოგიური რაზმის უფროსი, ხოლო 1964-1968 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს საინჟინრო-გეოლოგიური პარტიის უფროსი. 1969-1971 წლებში - საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სადგურის მთავარი გეოლოგი; 1972-1978 წლებში - საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების უფროსი; 1978-1991 - საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის უფროსის მოადგილე; 1992-1997 წლებში საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს “საქინჟეოდაცვის” უფროსი; 1998-2005 წლებში - საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტის ბუნების სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრის გენერალური დირექტორი; 2006-2008-



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ბუნების სტიქიური პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური კვლევების სამმართველოს უფროსი; 2008-2011 - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროების და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტის უფროსი; 2011-2014 - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროებების მართვის დეპარტამენტის უფროსი; 2014 წლიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მოადგილის თანამდებობას ვიკავებ.

1992-1994 წლებში ვიყავი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი. 1994 – 1997 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1997 – 2005 წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნების კატასტროფული მოვლენების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 2006 – 2008 წლებში ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნების სტიქიური პროცესების და მდგრადი განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ხოლო 2008 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი.

სხვადასხვა წლებში ვკითხულობდი სალექციო კურსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, შემდეგ საგნებში: მეოთხეული გეოლოგია, საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები, გეოეკოლოგია, ბუნებრივ კატასტროფული მოვლენები;

სტუდენტობის პერიოდიდანვე აქტიურად ვმონაწილეობ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების თუ გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-

თანამშრომლების მიერ განხორციელებულ საველე ექსპედიციურ კვლევებში და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიური გეგმიური საქმიანობის პროექტებში თუ სახელმწიფო მნიშვნელობის ისეთი საპასუხისმგებლო ობიექტების კვლევებში, როგორც არის საქართველოს რკინიგზის მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციის პროექტისათვის საჭირო საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, ტრანსკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის დერეფანში განხორციელებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მდ. რიონის აუზის გეოლოგიურ კვლევები, დუშეთის მუნიციპალიტეტის გეოლოგიური კვლევები, დაბა სურამის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები თურქეთის ტერიტორიაზე, მდ. გლდანის ხევის წყალშემკრები აუზის გეოლოგიური კვლევები, სხვადასხვა მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური აგეგმითი სამუშაოები საქართველოს ტერიტორიებზე და სხვა მრავალი.

გავლილი მაქვს მრავალი სასწავლო და სასერთიფიკატო კურსი, მუდმივად ვმონაწილეობ ექსპედიციებში, საქართველოსა და უცხოეთში, რომლის ძირითადი მიზანია ბუნებრივი საფრთხეების აღრიცხვა, შეფასება, ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა, სხვადასხვა თემატიკის (საფრთხეების ზონირება, გეოლოგია, საინჟინრო-გეოლოგია, გეომორფოლოგია და სხვა) რუკების შედგენა.

ვარ საერთაშორისო საინჟინრო-გეოლოგიის ასოციაციის (IAEG), მეწყერების და ღვარცოფების საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის, გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გეოფიზიკური რისკებისა და მდგრადი განვითარების კომისიის; რუსეთის მეცნ. აკადემიის საინჟინრო-გეოლოგიური პრობლემური საბჭოს საინჟინრო გეოდინამიკის კომისიის ასოცირებული წევრი; რუსეთის ღვარცოფული პროცესების შემსწავლელი რეგიონთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრი; საქართველოს გეოლოგიური და გეოგრაფიული საზოგადოებების წევრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი და ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიების წევრი;

ვარ ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპოდენტი და საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

1962-2018 წლებში გამოქვეყნებული მაქვს 400-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ცალკეული პუბლიკაციები და მონოგრაფიები - საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ინდოეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ჩინეთში, პორტუგალიაში, ტაილანდში, შვედეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, აშშ და კანადაში, მათ შორის UNESCO-ს და UNEP-ის ხაზით. გამოქვეყნებული შრომებიდან 20 არის მონოგრაფიული ხასიათის და 14 სპეციალური რუკა საქართველოს საინჟინრო გეოლოგიისა და გეოდინამიკის შესახებ. გარდა ამისა დამუშავებულია 50-მდე დებონირებული მონოგრაფიული ხასიათის გეოლოგიური ანგარიში.

გამოქვეყნებული მაქვს შემდეგი სახელმძღვანელოები: „გეოგრაფია“; "ზოგადი დედამიწისმცოდნეობა", საქართველოს ეროვნულ ატლასი (2012 და 2018 წლებში); საინჟინრო გეოლოგიური და გეოეკოლოგიური განმარტებითი ლექსიკონი; გეომორფოლოგიური ლექსიკონი.

მონაწილეობა მაქვს მიღებული 40-მდე ეროვნულ და საერთაშორისო გრანტში, როგორც მენეჯერი და შემსრულებელი.

1964-2018 წლებში ჩატარებული მაქვს 1:500000, 1:200000, 1:50000, 1:25000 და 1:10000 მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური აგეგმითი სამუშაოები საქართველოს ტერიტორიებზე. შედგენილია შესაბამისი მასშტაბის და შინაარსის სპეციალური რუკები და 50-მდე გეოლოგიური ანგარიში.

1994-1997 წლებში - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებები თურქეთის ტერიტორიაზე საქართველო-თურქეთის ერთობლივი სამეცნიერო პროგრამით.

1956-1969 წლებში - საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმები 1:500000 მასშტაბში ჰამირო-ტიანშანის მთათა სისტემაში და შუა აზიის სხვა ტერიტორიებზე.

1960 წ. - საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმა 1:50000 მასშტაბში აზერბაიჯანსა და ჩრდ. კავკასიაში.

1955 წ. - საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვები 1:500000 მასშტაბში სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარე).

მიღებული მაქვს შემდეგი ჯილდოები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მაღლობის სიგელი (2018); 2017 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა მეორედ მაღიარა **მსოფლიოს 100 საუკეთესო მეცნიერთა** შორის და აღნიშნული დაადასტურა მედლითა და სერტიფიკატით; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღლობის სიგელი (2005წ, 2009წ, 2014წ); ამერიკის ბიოგეოგრაფიულ გამომცემელთა საბჭოს "Who is Who" (ვინ ვინ არის) საქმიანობის სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, 2014 წელს შეყვანილი ვარ 31-ე გამოცემაში და გადმოცემულია დამადასტურებელი სერტიფიკატი. 2014 წელს რუსეთის ფედერაციის სღვარცოფული ასოციაციის საბჭომ სღვარცოფული პროცესების კვლევებში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის დაჯილდოვებული ვარ აკად. სემიონ ფლეიშმანის სახელობის საპატიო მედლით; 2014 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა მაღიარა **100 საუკეთესო მეცნიერთა (მეცნიერების ყველა მიმართულება)** შორის და დამადასტურა მედლითა და სერტიფიკატით; **ღირსების ორდენი** - საქართველოს პრეზიდენტის 2011წლის განკარგულება (2011.20.04 #20/04/10); ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საპატიო მოქალაქე (2010წ); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლითოსფეროს ინსტიტუტის თემატიკაში „ლითოსფეროს დაცვა“ მონაწილეობისათვის, რომელიც დამუშავდა სსრკ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის და მეცნიერებისა და კომიტეტის ხაზით აკად. ა. იანშინის წარდგინებით გამოეცხადა მაღლობა და დაჯილდოვდა ფულადი პრემიით (1987წ); სსრკ გეოლოგიის სამინისტროსა და გეოლოგიური საძიებო ორგანიზაციების პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი (1987წ); "შრომის ვეტერანის" წოდება (1987წ); საქართველოს სამთო-გეოლოგიური სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს 1 - პირველი, 2 – მეორე, მესამე პრემიები და ფულადი ჯილდოები (1986წ); სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა მთავარი კომიტეტის ბრინჯაოს მედალი (1985წ); საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის

რესპუბლიკური საბჭოს პირველი ხარისხის სიგელი (1985წ); 27-ე საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო დიპლომი და ვერცხლის სამკერდე ნიშანი (1984წ); სსრკ გეოლოგიის სამინისტროს საპატიო სიგელი -"წიაღის ძიების მოწინავე" (1980წ); საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელი (1979წ); სსრკ გეოლოგიის სამინისტროს საკავშირო ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ინსტიტუტის საპატიო სიგელი (1973წ); მედალი მამაცობისათვის (1970წ);  
მყავს მეუღლე და ორი შვილი.

**ემილ წერეთელი**

18 ოქტომბერი, 2018 წელი



მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი

№ 001326

თბილისი, 2003 წლის სექტემბერი  
ოპ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
G 11.00 №1 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით  
(ოქმი № 11 30.06.2003;)

*ემილ ტყეშელაშვილს*

მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი  
გეოგრაფიის 11.00.04;



ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი ვასცა  
საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

სადისერტაციო საბჭოს  
თავმჯდომარე: *გ. კახაიძე*

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს  
თავმჯდომარე: *გ.*

Diploma of a Doctor of Sciences

№ 001326

Tbilisi, September 2003

*L. Javakhiswili Tbilisi State University*

By Decision of the Dissertation Board G 11.00 №1


(Protocol № 11 of 30.06.2003)

THE DEGREE OF A DOCTOR OF SCIENCES

*Geography 11.00.04;*

WAS CONFERRED ON

*Emil Tsereteli*



On the grounds of this decision the diploma has been issued  
by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation  
Board *Z. Tatarshidze*

Chairman of the Board of  
Academic Experts *G. Kharadze*

ДИПЛОМ  
КАНДИДАТА НАУК



МГФ № 000957

Москва 3 мая 1967г.



Решением  
Совета МГУ им. Ломоносова  
от 20 июня 1967 (протокол № 13)

*Черетели Тимю Давидовичу*

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА  
ГЕОГРАФИЧЕСКИХ НАУК



Председатель  
Совета

*И. Вениз*

Ученый Секретарь  
Совета

*В. Иван*



# დიპლომი

Ж № 429875

ეს დიპლომი მიეცა ჭეთუელს  
ეტილი დავითის ძეს  
მასზე, რომ იგი 1949 წელს შევიდა  
აბ. სვალთისის სასულიერო თბილისის  
სასულიერო უნივერსიტეტში  
და 1954 წელს დაამთავრა აღნიშნული  
უნივერსიტეტის

სრული კურსი სპეციალობით  
"ეკონომიკური მეცნიერება"

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1954 წ.  
„28“ ნოემბრის 28 მიენიჭა  
ჭეთუელს ეტილი  
დავითის ძეს კვალიფიკაცია

სახელმწიფო საგამოცდო  
კომისიის თავმჯდომარე  
რექტორი (დირექტორი)  
მდივანი  
თბილისი 1954 წ.  
სარეგისტრაციო № 13010



# ДИПЛОМ

Ж № 429875

Настоящий диплом выдан Церетели  
Эмилу Давидовичу  
в том, что он 1949 году  
поступил в Тбилисский  
государственный университет  
имени У.И. Сталина  
и в 1954 году окончил полный курс  
названного университета  
по специальности  
"экономика"

Решением Государственной экзаменационной  
комиссии 28 июня 1954 г.  
Церетели Э. Д.  
присвоена квалификация

сфера  
Председатель Государственной  
экзаменационной комиссии И. Котараква  
Ректор (директор) В. Зуриц  
Секретарь М. П.  
Город Тбилиси 1954 г.  
Регистрационный № 13010



პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა (CV)

სახელი, გვარი: ემილ წერეთელი

ეროვნება: ქართველი

მობ: +995 599 544 888

სამს: +995 322 43 95 47

ელ-ფოსტა: [emiltsereteli@gmail.com](mailto:emiltsereteli@gmail.com)

განათლება, აკადემიური ხარისხი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგია	1960-1963	ასპირანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგია	1949-1954	მაგისტრი

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:

1. დისერტაციის დაცვის თარიღი	30.06.2003
დისერტაციის თემა	ბუნებრივ კატასტროფული მოვლენები და მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში და მოსაზღვრე ტერიტორიებზე
მინიჭებული კვალიფიკაცია	გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	0013626
2. დისერტაციის დაცვის თარიღი	20.06.1966
დისერტაციის თემა	კავკასიონის სამხრეთი ფერდის ცენტრალური კავკასიონის გეომორფოლოგია (რაჭის ფარგლებში)
მინიჭებული კვალიფიკაცია	გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	000957

ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპოდენტი და საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

**სამუშაო გამოცდილება:**

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა
2014- დღემდე	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
2018 - დღემდე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი
2013-2014	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
2011-2013	საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროებების მართვის დეპარტამენტის უფროსი
2008-2011	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროებების და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტის უფროსი
2008 - 2018	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი
2006-2008	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ბუნების სტიქიური პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური კვლევების სამმართველოს უფროსი.
2006 - 2008	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნების სტიქიური პროცესების და მდგრადი განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი
1998-2005	საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტის ბუნების სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრის გენერალური დირექტორი.
1997 – 2005	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნების კატასტროფული მოვლენების ლაბორატორიის ხელმძღვანელი
1994 - 1997	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
1992-1994	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი.
1992-1997	საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს “საქინჟეგოდაცვის” უფროსი.
1978-1991	საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის უფროსის მოადგილე.
1972-1978	საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების უფროსი.
1969-1971	საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომპლექსური

	ჰოდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სადგურის მთავარი გეოლოგი.
1964-1968	საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს საინჟინრო-გეოლოგიური პარტიის უფროსი.
1960-1963	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტი.
1958-1960	სსრკ გეოლოგიის სამინისტროს მე-4 სამმართველოს მე-6 რაიონის ექსპედიციის გეოლოგიური რაზმის უფროსი.
1956-1958	სსრკ გეოლოგიის სამინისტროს მე-4 სამმართველოს მე-7 რაიონის ექსპედიციის ინჟინერ-გეოლოგი.
1955	სსრკ გეოლოგიის სამინისტროს მე-4 სამმართველოს მე-7 რაიონის ექსპედიციის გეოლოგი.

**შრომითი საქმიანობა:**

- 2004-2018 წ.წ. - გეოლოგიური მონიტორინგი, სტიქიური პროცესების შეფასება, საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენის მომზადების მიზნით.
- 1964-2005 წ.წ. - 1:500000, 1:200000, 1:50000, 1:25000 და 1:10000 მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური აგეგმითი სამუშაოები საქართველოს ტერიტორიებზე. შედგენილია შესაბამისი მასშტაბის და შინაარსის სპეციალური რუკები და 50-მდე გეოლოგიური ანგარიში.
- 1994-1997 წ.წ. - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები თურქეთის ტერიტორიაზე საქართველო-თურქეთის ერთობლივი სამეცნიერო პროგრამით.
- 1956-1969 წ.წ. - საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმები 1:500000 მასშტაბში პამირო-ტიანშანის მთათა სისტემაში და შუა აზიის სხვა ტერიტორიებზე.
- 1960 წ. - საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმა 1:50000 მასშტაბში აზერბაიჯანსა და ჩრდ. კავკასიაში.
- 1955 წ. - საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმები 1:500000 მასშტაბში სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარე).

**გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები**

- "საქართველოს გეოგრაფია" ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი. ვახ. ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, 2013
- "ზოგადი დედამიწისმცოდნეობა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013
- საქართველოს ეროვნულ ატლასი (6 რუკა და მათი განმარტებითი ბარათები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, 2012
- საინჟინრო გეოლოგიური და გეოეკოლოგიური განმარტებითი ლექსიკონი, "მეცნიერება", თბილისი, 2005
- გეომორფოლოგიური ლექსიკონი, საქართველოს ეროვნული მეცნ. აკადემია, 1996

სამეცნიერო შრომები:

№	ავტორები	პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ჟურნალის/ გამოცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები	გამოქვეყნების წელი
1*	ე. წერეთელი	რუკები და განმარტებითი ბარათები საქართველოს ეროვნულ ატლასში (ინგ.)	საქართველოს ეროვნულ ატლასში შესული 5 რუკა <ul style="list-style-type: none"> <li>• მეოთხეული ნაღველები</li> <li>• გეომორფოლოგია</li> <li>• ეგზოგენური პროცესები</li> <li>• მეწყერსაშიშროება;</li> <li>• ღვარცოფსაშიშროება.</li> </ul> და მათ,ი განმარტებითი ბარათები ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი	2018
2	წერეთელი ე., გაფრინდაშვილი გ., გაფრინდაშვილი მ., თოღუზაშვილი თ.	სტატია საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულში	ტექტონისმოგენური მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენებისა და მიწისძვრების კორელაციური კავშირის ზოგიერთი საკითხი კავკასიის მთიანეთში, VII საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, შრომათა კრებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 177-181, 2017;	2017
3*	Gaprindashvili G., Gaprindashvili M., Tsereteli E.	სტატია რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში	Natural Disaster in Tbilisi City (Riv. Vere Basin) in the Year 2015. International Journal of Geosciences, 7, 1074-1087	2016
4	წერეთელი ემ., გავარდაშვილი გ., გაფრინდაშვილი გ., ჩხეიძე ი., და სხვები	სტატია საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულში	მდ. ნაკრას აუზის ქვედა დინების გეოდინამიკური მდგომარეობა და სოფ. ნაკრას მოსახლეობის და ინფრასტრუქტურული ობიექტების კატასტროფული ხასიათის მეწყერულ-ღვარცოფული პროცესებისგან დაცვის პრევენცია, VI საერთაშორისო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, შრომების კრებული, გვ. 200-211, თბილისი, 2016;	2016

5*	Gaprindashvili G., <b>Tsereteli E.</b> , Gaprindashvili M., Gerkeuli T.	სტატია რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში	Geological Hazards in Samtskhe-Javakheti Region (Georgia). International Journal of Geosciences, 7, 311-324, 2016. doi: 10.4236/ijg.2016.73024.	2016
6*	<b>Tsereteli E.</b> , Gaprindashvili G., Donadze Ts., Nanobashvili T., Kurtsikidze O.	სტატია საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულში	Some Aspects Of The Methodology Of Disaster Geological Process Hazard And Risk Mapping On The Example Of Georgia, Proceedings of International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations” (ICAE-2015). 7 - 10 May, 2015, Tbilisi – Batumi. pp. 30-36.	2015
7	<b>წერეთელი ე.</b> , გაფრინდაშვილი გ., გაფრინდაშვილი მ.	სტატია საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულში	გეოლოგიური საფრთხეების მდგომარეობა საქართველოში და მათი ზრდის ტენდენციები, შრომათა კრებული, V საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური კონფერენცია “წყლის მართვის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები, გვ. 306-315, თბილისი	2015
8	<b>წერეთელი ე.</b> , გაფრინდაშვილი გ., გაფრინდაშვილი მ., კვარაცხელია ზ., ქურციკიძე ო.	სტატია ადგილობრივ შრომათა კრებულში	საქართველოში გეოლოგიური სტიქიური კატასტროფების არსებული პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად პირველი რიგის განსახორციელებელი საადაპტაციო-პრევენციული ღონისძიებების მეთოდოლოგიური ქმედებები, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, შრომათა კრებული, 2015;	2015
9	<b>წერეთელი ე.</b> , ბოლაშვილი ნ., გაფრინდაშვილი გ., ქურციკიძე ო., მაისურაძე ზ.	სტატია ადგილობრივ მონოგრაფიაში	მდ. მდ. თერგის, არაგვისა და ასა-არღუნის აუზებში ღვარცოფული პროცესების განვითარების მასშტაბები და საშიშროების რისკი მოსახლეობისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია, „ხევსურეთი“, გვ. 139-167, თბილისი, 2015;	2015
10*	N. Bolashvili <b>E. Tsereteli</b> O.Kutsnashvili G. Gaprindashvili O. Kurtsikidz	კონგრესის მასალები	Climate as an Integral Synthesizer in development – reactivation processes of landslide and diagnostic criterion of its evaluation Engineering Geology for Society and Territory _ Volume _2 .Landslide processes _ Springer <a href="http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-319-09057-3_315">http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-319-09057-3_315</a>	2014

11*	<b>E. Tsereteli</b> R. Gobejshvili, G. Gaprindashvili M. Gaprindashvili	კონგრესის მასალები	Challenges of Geologic Catastrophes in Georgia and Ways of Their Reduction Engineering Geology for Society and Territory _ Volume _2 .Landslide processes _ Springer <a href="http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-319-09057-3_313">http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-319-09057-3_313</a>	2014
12*	<b>ე. წერეთელი,</b> მ. გონგაძე, ნ. ბოლაშვილი, გ. ლომინაძე, გ. გაფრინდაშვილი, მ. გაფრინდაშვილი	სტატია რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში	ღვარცოფული მოვლენები აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის რეგიონი) და მათი განვითარების მასშტაბები კლიმარის ცვლილების ფონზე სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო ჟურნალი (IJSR), ტომი: 3, გამოცემა: 2, ISSN No 2277-8179, გვ. 193-197	2014
13	<b>ე. წერეთელი</b> მ. გაფრინდაშვილი მ. გონგაძე გ. გაფრინდაშვილი თ. ნანობაშვილი ო. ქურციკიძე	სტატია ადგილობრივ მონოგრაფიაში	თუშეთის გეოგრაფიული უნიკალობა და მისი დღევანდელი გეოეკოლოგიური პრობლემები საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია. მონოგრაფია "თუშეთი" გვ. 204-256	2014
14*	<b>E. Tsereteli</b> M. Gongadze N. Bolashvili G. Iominadze G. Gaprindashvili M. Gaprindashvili	სტატია რეცენზირებად ჟურნალში	Mudflow phenomena in Eastern Georgia (Kakheti region) and their Development Trends Belated to Climate Change International journal of Scientific Reserch India pp193-197	2014
15	N. Bolashvili <b>E. Tsereteli</b> R. Gobejshvili M. Gaprindashvili G. Gaprindashvili G. Iominadze	სტატია ადგილობრივ შრომათა კრებულში	Existing Condition of Hydrologic – Geologic Catastrophes of the Rivers of the Black Sea Basin and the Reality of Danger Through the Global Climate Change თბილისის სახ. უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული #5 (84), თბილისი, გვ. 28-33	2013
16	<b>ე. წერეთელი</b> მ. გონგაძე ნ. ბოლაშვილი გ. გაფრინდაშვილი მ. გაფრინდაშვილი გ. ლომინაძე	სტატია ადგილობრივ შრომათა კრებულში	Geological Conditions of Mudflow Formation in Kakheti and their Management Technology საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, #68, გვ. 204-210	2012

17	რ. გობეჯიშვილი <b>ე. წერეთელი</b>	მონოგრაფია	რელიეფი “საქართველოს გეოგრაფია” ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი. ვახ. ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, გვ. 22-54	2013
18	რ. გობეჯიშვილი ც. დონაძე ვ. ტრაპაიძე <b>ე. წერეთელი</b> გ. დვალაშვილი ლ. ლალიძე თ. ნანობაშვილი თ. თიგიშვილი	სახელმძღვანელო	ზოგადი დედამიწისმცოდნეობა (სახელმძღვანელო) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	2013
19	<b>ე. წერეთელი</b> მ. გაფრინდაშვილი მ. გონგაძე გ. გაფრინდაშვილი თ. ნანობაშვილი ო. ქურციკიძე	სტატია ადგილობრივ მონოგრაფიაში	თუშეთის გეოგრაფიული უნიკალობა და მისი დღევანდელი გეოეკოლოგიური პრობლემები საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია. მონოგრაფია `თუშეთი` გვ.204-256	2013
